„ დამტკიცებულია“

საქართველოს მთავრობის 201..წლის .....
№..... დადგენილებით

რ ე ჟ ი მ ი
კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში

მუხლი1. რეჟიმი სანიტარიული დაცვის I ზონაში

სანიტარიული დაცვის პირველი ზონა მკაცრი რეჟიმის ზონა მოიცავს კურორტისა და საკურორტო ადგილის იმ ტერიტორიას, სადაც განლაგებულია მინერალური წყლების ბუნებრივი და ხელოვნური გამოსასვლელები, სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი, ტომი I, გვ. 21,22,).

1. სამკურნალო მინერალური წყლების გამოლევისა და დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით სანიტარიული დაცვის I ზონის ტერიტორიაზე აკრძალულია:
   ა) სამუშაოები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებასთან;
   ბ) საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა;
   გ) სამთო და მიწის სამუშაოები;
   დ) ფიზიკური პირების მუდმივად ან დროებით ცხოვრება;
   ე) ნაგავსაყრელების მოწყობა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების სხვა ნებისმიერი ფორმით განთავსება, გარდა ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა.
2. პირველი ზონის ტერიტორიაზე დაშვებულია სამკურნალო წყლების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

მუხლი 2. რეჟიმი სანიტარიული დაცვის II ზონაში

1. სანიტარიული დაცვის II ზონა (შეზღუდული რეჟიმის) მოიცავს სამკურნალო ტერიტორიას სადაც განლაგებულია დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, სასტუმროები და კურორტის ინფრასტრუქტურის სხვა შენობა–ნაგებობები, ტყე–პარკები და ა.შ. (კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი, ტომი I, გვ.23.)
2. სამკურნალო მინერალური წყლების დაბინძურება და ფიჭვნარის განადგურება რომ ავიცილოთ თავიდან ამიტომ ამ ზონაში დგინდება მოქმედების მკაცრი რეჟიმი.
3. ამ ზონის ფარგლებში აკრძალულია იმ ობიექტების მშენებლობა და გამოყენება, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული კურორტის განვითარებასთან. იკრძალება მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსებისა და ფერმების მშენებლობა, ნაგავსაყრელების მოწყობა და ნარჩენების სხვა ნებისმიერი ფორმით განთავსება, გარდა ნარჩენების

შეგროვების კონტეინერებისა; შხამ-ქიმიკატების, მინერალური სასუქებისა და ქიმიური ნივთიერებების შენახვა; ახალი სატრანზიტო - საავტომობილო გზების მშენებლობა; სპეციალურ გამწმენდ ნაგებობათა გაუთვალისწინებლად კოლექტიური ავტოსატრანსპორტო სადგომების მოწყობა; შესაბამისი საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემის გარეშე ახალი საბინაო მშენებლობის წარმოება, კოლექტიური მებაღეობის ორგანიზება, დროებითი ტურისტული სადგომების მოწყობა; ახალი სასაფლაოების მოწყობა და არსებულის გაფართოება; პირუტყვის სასაკლაოების მოწყობა; ნახირის გატარება; მავნებლებთან, სარეველებთან და მცენარეების დაავადებებთან საბრძოლველად ქიმიკატებისა და მინერალური სასუქების გამოყენება; ნახმარი და დრენაჟული წყლების წყლის ობიექტებში ჩაშვება (გარდა გაწმენდილი ნახმარი წყლების სპეციალური სიღრმისეული ჩაშვებისა), აგრეთვე წყალსარგებლობის სხვა სახეობა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს წყალსატევების სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე; ტყის ჭრა (გარდა მოვლითი ჭრისა) და მიწის ნაკვეთების ისეთი გამოყენება, რომელიც იწვევს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების შემცირებას ან დაბინძურებას.

4. საკარანტინო მავნებლებისა და მცენარეების დაავადებების ფართოდ გავრცელებისას ნებადართულია კომპეტენტური სამსახურების მიერ ადამიანისათვის უვნებელი, ნაცადი ქიმიკატებით სანიტარიული სამუშაოების ჩატარება.
5. ამ ზონის ტერიტორიაზე იკრძალება საკანალიზაციო სისტემის იმგვარი დაპროექტება და ექსპლუატაცია, რომელიც გამოიწვევს ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებას, უარყოფითად იმოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე, აგრეთვე კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ მდგომარეობაზე.

მუხლი 3. რეჟიმი სანიტარიული დაცვის III ზონაში

1. სანიტარიული დაცვის მესამე ზონა (სამეთვალყურეო) მოიცავს მიწისქვეშა წყლებისა და ადგილობრივი კლიმატის ფორმირებისა და გავრცელების არეალს, მწვანე მასივებს, რომელთა არასწორმა გამოყენებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საკურორტო ზოლის სანიტარიულ და ლანდშაფტურ–კლიმატურ პირობებზე (ტომი I, გვ.24.)
2. ამ ზონის ფარგლებში დასაშვებია ის სამუშაოები, რომლებიც არ შეცვლიან არსებულ ბუნებრივ სიტუაციას და უარყოფითად არ იმოქმედებენ ტერიტორიის სანიტარიულ მდგომარეობაზე.
3. ზონაში წესდება რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის რეგულარულ შემოვლას, კონტროლს და გარემოზე ადამიანების ზემოქმედების მუდმივ მონიტორინგს.